

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



გიგა ჩიხლაძე

ალექსანდრე კლიმჩუკი

2008 წლის აგვისტოს ომში ფიზიკური დაიზიანებები 11 ჟურნალისტმა მიიღო და სამი დაიღუპა. ერთი მათგანი ჰოლანდიელი ოპერატორი, სტანს ტორიმანსი 12 აგვისტოს ერთ-ერთი აფეთქებისას დაიღუპა, ორი კი ქართველი – გიგა ჩიხლაძე და ალექსანდრე კლიმჩუკი. საშა 27, გიგა კი 30 წლის იყო.

გიგა ჩიხლაძე „კომსომოლსკაია პრავდას“ თბილისის გამოცემის რედაქტორი იყო, 2003 წლიდან კი „კავკაზსკი აქცენტთან“ თანამშრომლობდა.

2008 წელს „ალანიას“ რედაქტორი გახლდათ. ომის დაწყებისთანავე ფოტორეპორტიორ საშა კლიმჩუკთან ერთად ცხელ წერტილში გაემგზავრა. მანქანაში ოთხნი იყვნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ჩაცხრილვა ბიჭების მისაღმებლას მოჰყვა – ისინი შეიარაღებულებს ქართულად მიესალმნენ. მათი მიზანი მხოლოდ ერთი იყო: მისულიყვნენ იქმადე, სადაც ეტყოდნენ – იქეთ ომია, წასვლა აღარ შეიძლება, გაბრუნდით! – ამის გადაღება უნდოდათ და დაფიქსირება. სანამ რამეს ეტყოდნენ, პირდაპირ ესროლეს. ამბავს კი მანქანაში მსხდომი გადარჩენილები ჰყვებიან.

დაღუპულებს საერთაშორისო სააგენტოების ჟურნალისტები დარაჯობდნენ მორგში, რომ ისინი ოსურ მხარეს საერთო სასაფლაოზე არ დაემარხა.

ალექსანდრე კლიმჩუკი „კომსომოლსკაია პრავდას“, „იტარ-ტასის“, „საქართველოს თვალისა“ და EurasiaNet.org-ის ფოტოჟურნალისტი იყო. თანამშრომლობდა სხვადასხვა მედია საშუალებასთან და ახალი ამბების სააგენტოებთან. მუშაობდა გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდთან და ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრთან.

2006 წელს იგი გახდა ფოტოსააგენტო Caucasus PressImages -ის თანადამფუძნებელი.

ალექსანდრე კლიმჩუკმა სამგზის მოიპოვა „იტარ ტასის“ მიერ დაწესებული ჯილდო წლის საუკეთესო ფოტოგრაფისთვის, ხოლო 2007 წელს გაიმარჯვა ფოტოკონკურსში სახელწოდებით – „ადამიანები ახალ ამბებში“.

საშა კლიმჩუკი და გიგა ჩიხლაძე ვარკეთილის სასაფლაოზე დაკრძალეს.